№ 238

პარასკევი, 5 ნოემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 238

პარასკევი, 5 ნოემბერი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქ. ქუთაისში ექიმი გაბრ. იოს. გოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.

ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20.

(40—140—19)

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად-ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—23)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბაგრატიონ-მუხრანსკი**(?)—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ქ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩნაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუდ. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სტაგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—ჭ).

## ექიმი კ. ს. გძელიშვილი

მიიღებს ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—69)

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 4 ნოემბერს, დეპუტაცია ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, რომელიც სამის კაცისაგან შესდგებოდა: კრების თავმჯდომარის, უგ. თავ. მ. ა. გრუზინსკისა, საზოგადოების თავმჯდომარის ვ. ა. სულხანიშვილისა და ვ. ა. აბაშიძისაგან, წარუდგა მის ბრწყინვალებას კავკასიის მთავარ-მართებელს გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინს, რათა მადლობა გარდეხადათ მისის ბრწყინვალებისათვის უხვის შემოწირულებისათვის ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ და ეთხოვათ საპატიო წევრის წოდების მიღება.

მისმა ბრწყინვალებამ, ინახულა-რა დეპუტაცია, ინება ქართულ დრამატიულ საზოგადოების საპატიო წევრის წოდების მიღება.

*** ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო დაწყებულ იქმნას 1900 წლის მარტის თვეში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება.

*** ამ მოკლე ხანში ტფილისში მოხდება ამიერ კავკასიის გუბერნატორთა კრება.

*** ქალაქის საბჭოის მომავალ სხდომაზედ, სხვათა შორის, წარდგენილ იქმნება გამგეობის დადგენილება დაფასების ქაღალდებში აღმოჩენილ სიყალბის შესახებ.

*** 3 ნოემბერს ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის მოურავს, გამომიგზავნეთ ამ მოკლე ხანში საჭირო ცნობები დაფასების ქაღალდებში სიყალბის ჩადენის საქმის შესახებაო.

## ფელეტონი

**მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ.**

წერილი პირველი

16 მაისს 1899 წლისას, კვირა დღეს, გამოვემშვიდობე დედა-ქალაქსა ტფილისსა, ვახსენე უფალი ღმერთი, რათა წყალობა მისი თანამავალ მეყოს მე ვითარცა ამ მოგზაურობაში, ეგრეთვე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა. წარვემართე რკინის გზის სადგურისაკენ, სადამდისაც გამომაცილეს ორმა ქართველმა მღვდელმა და ერთმაც ახალგაზრდა მოხელე თანამოსამსახურე რუსმა. ჩავჯდ ვაგონში მარტოდ, ობლად, დაღონებული, მაგრამ გზა, რომელსაც წარვემართებოდი, მამხნევებდა.

ერთს ვაგონში შემხვდა ორი ახალგაზრდა, როგორც აღმოჩნდა შემდეგ, ქართველნი ტომითაც, გვარითაც და სამშობლოს სიყვარულითაც. ვიდრე გამოველაპარაკებოდი, ერთმა მათგანმა აზრით უკვე მიცნო და მკითხა: „თქვენ იერუსალიმს ხომ არ მიემგზავრებით"? ნამდვილად, მაგრამ თქვენ საიდგან იცით ჩემი განზრახული მგზავრობა, როდესაც პირველად გხედავ? მან მიპასუხა: მამა ჩემმა გ. ქ—მა, რომელიც თქვენ კარგად გიცნობთ, მითხრა, რომ იერუსალიმს მოგზაურობას აპირებთ, სჩანს ღირსეულს მამულიშვილს ღირსეულად აღუზრდია თვისი შვილები. ეს ახალგაზრდანი მიისწრაფვოდნენ ს. ატენს, რათა დასწრებოდნენ დღესასწაულობით ქართხნის გახსნას, სადაც მომზადებენ ხისაგან კარებისა და ფანჯრების ჩარჩოთა, სადაც, პარაკლისის გარდახდის შემდეგ, ქართულ ჩვეულებრივ ლხინი ექმნებოდათ. ჩემის მხრივ ვუსურვე სასარგებლო საქმისათვის კეთილი წარმატება. ამ დროს შემოვიდა ვაგონში მესამე ქართველი ახალგაზრდა, ჩაცმული ქართულს ეროვნულს გიმნაზიურ ტანისამოსზედ, და უთხრა ქ—შვილებს, რომ ერთს განათლებულს ინგლისელ ქალს სურს დაესწროს ს. ატენში ქართულს ლხინს, მაგრამ მომავალს სამშაბათამდის დრო არ ექმნებაო. შემდეგ ჩვენ დავშორდით ერთმანეთსა ქ. გორის სადგურზედა, და აღარ ვიცი, როდის გარდაიხადეს ატენის ლხინი.

16 მაისს, ღამის ცხრა საათზედ, მოვედით ქ. ბათუმს მშვიდობით, და პირდაპირ ცეცხლის გემ „ცესარევიჩ გიორგი" ზედ გადაველ, რომელიც ერთის საათის შემდეგ გაემგზავრა ოდესსისაკენ.

17 მაისს დილით მოვედით ფოთის ნავთსადგურში, სადაც გაჩერდა ცეცხლის გემი დღის ათს საათამდე. აქ მუშაობდა მანქანა, რომლითაც იღებენ ქვიშას ზღვის ძირიდგან, ნავთსადგურისა დასაღრმავებლად. აქ ერთი უბედური კაცი ზღვაში ვარდებოდა თავის დასარჩობად, მაგრამ ადრე შენიშნეს და დაიხსნეს სიკვდილისაგან; პიროვნება ამ უბედურისა ვერ შევიტყე, რადგან ჩოხა ემოსა და თავისის ვინაობის არა სთქვა-რა. ბათომიდგან წამოსული აქ შემხვდა ერთი სომეხი, სოხუმში მოვაჭრე, რომელმაც გარდმომცა, რომ ქუთაისის სომეხთ არ ესმით თვისი სამშობლო ენა, და ამის დასამტკიცებლად მითხრა შემდეგი შემთხვევა: შევედი ქუთაისის სომეხთა ეკკლესიაში და სომხურად ვთხოვე ერთის აბაზის წმ. სანთელი მოეყიდნათ ჩემთვის, მიდლისამ ვერ გაიგონა ჩემი თხოვნა და ქართულად მითხრა: რა გინდაო? და შემდეგ სხვებმა ქართულად უთარგმნეს მიდლისას ჩემი სურვილი და მხოლოდ მაშინ მომყიდა სანთელი. ეს თითონ ოსმალეთიდგან ახლად გადმოსახლებულია და არ იცოდა ქართული.

18 მაისს, შემხვდა გემზედ თანამოგზაურად ნოვოროსსიისკიდამ კერჩამდის ახალგაზრდა ინჟენერი რუსი, რომელმაც მკითხა: „На какой службѣ состоите Вы, на русской или грузинской? ვუპასუხე: совмѣщаю ту и другую вмѣстѣ. Какъ это возможно? მივუგე: ვისაც სწავლა მიუღია რუსულს ენაზედ, მას შეუძლიან ემსახუროს რუსეთის სახელმწიფოს, გვარტომობის მიუხედავად; მე თვითონ ქართველი ეროვნობისა ვარ და ვმსახურებ სახელმწიფო რუსულს სასწავლებელში, თანასწორად რუსთა.

კვალად მკითხა: რა განსხვავებაა არის რუსეთის, საქართველოს და ბერძენთა ეკკლესიათა შორის? მივუგე: არსებითი უმთავრესი ანუ დოგმატიური გარჩევა მათ შორის არა არის რა. იგინი არიან შეერთებულ ერთგვარის სარწმუნოების აღსარებითა და ერთობითა ანუ ზიარებითა (общеніе) ლოცვათა და საიდუმლოთა შინა. მცირედი განსხვავება მათ შორის შეიძლება იყოს წესებში, მაგრამ ამგვარი გარჩევა წესებში სრულიად არ დაარღვევს ერთობასა სარწმუნოებისასა მათ შორის, მაგალითებრ: მცირე ანუ ქვემო რუსეთის ეკკლესიაში მიღებულია წესად, რომ სახარების კითხვის დროს წირვაზედ მღვდელი ანუ დიაკონი მიიქცეს პირით ერისაკენ, ხოლო დიდს რუსეთში-კი მობრუნდება მღვდელი აღმოსავლეთისაკენ, ვითარცა საქართველოს ეკკლესიაშიაც მიღებულია. შემდეგ განაგრძო: ვიყავი ბერძენთა ეკკლესიაში და სხვა წესები ვნახე, მე ვკითხე: სახელდობრ რომელნი? მან მიპასუხა: „ვერც ერთი საგალობელი სლავიანურს კილოზედ ვერ მოვისმინე ბერძენთა ეკკლესიაშიო". ამის პასუხად ვუთხარი: საეკკლესიო გალობა რვა ხმად ანუ კილოდ განიყოფება, ეს შემოღებულია მერვე საუკუნიდგან ქრისტეს შობისა, ყველა მართლმადიდებელთა ეკკლესიათა რვა ხმაზედ აქვს დაწყობილი გალობანი თვისს ეროვნულს კილოზედ, ანუ გემოვნებაზედ, ამისათვის ცხადია, რომ ერთი ენის კილო მეორეს უცხოდ ეჩვენება. მაშასადამე საქართველოს და ბერძენთა ეკკლესიასაც თვის ეროვნულს კილოზედ აქვს შემოღებული და დაწყობილი საეკკლესიო გალობა.

აი ასეთი შემცდარი წარმოდგენა აქვთ ზოგიერთ რუსის მეცნიერთა სხვა ეროვნულს საეკკლესიო გალობასა დასაგნებზედ.

„ცესარევიჩ გიორგი"ს გემზედ, რომლითაც ვმოგზაურე ბათომიდამ ოდესსამდის, იყვნენ ორნი ძმანი შობილნი ქართველ დედისაგან (კურიიდგან) და ზანგის მამისაგან; კარგად იციან ამათ ქართული და რუსული ენა, ერთი ზღვაოსნად ჰმსახურობს ამავე გემზედ, ხოლო მეორე—მზარეულად. ქართული გვარტომობა იერი ეტყობათ.

*** ახალციხისა და ახალქალაქის მომრიგებელი შუამავალი ვ. დ. თულაშვილი, როგორც ისმის, სამსახურს თავს ანებებს და მის მაგივრად ინიშნება ტფილისის სავლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს მდივანი ა. თ. ყიფშიძე.

*** ტფილისის მომავალ საკომერციო სასწავლებლის დირექტორად განზრახვა აქვთ მოიწვიონ ქ. ოდესის კერძო საკომერციო სასწავლებლის მმართველი ბ-ნი შიფერი.

*** დღეს რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში სხდომა მოხდება სასწავლებლებში სასოფლო მეურნეობის სწავლების შესახებ.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრს ბ-ნს მამიკონოვს მოხსენება წარუდგენია საზოგადოების საბჭოსათვის იმის შესახებ, რომ საზოგადოებასთან დაარსებულ იქმნას სრულიად რუსეთის ფრინველთა მომშენებელი საზოგადოების განყოფილება.

*** 3 ნოემბერს ღამით ტფილისში შეიპყრეს 28 კაცი, რომელთაც არა ჰქონიათ არავითარი მოწმობის ქაღალდი.

*** ქალაქის გამგეობის წევრმა მ. ს. შესტაკოვმა განსახილველად წარუდგინა ქალაქის გამგეობას სახალხო განათლების მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა. მთელი ხარჯი უდრის 129,209 მან.

*** დაიბეჭდა მეექვსე გამოცემად „Русское Слово"-ს მეორე ნაწილი, დაიკაზმა და ეგზავნება დამბარებლებს, რომელთაც ტფილისიდგან ვიღარ ეგზავნებოდათ სექტემბრის თვიდგან მეხუთე გამოცემის ადრიანად გამოლევის გამო.

*** რამდენიმე დღის წინად ჩვენ ამოვიკითხეთ „ცნობის ფურცელში" ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი და რადგანაც ჩვენ მიერ შევსებულ ცნობებიდან ეს ამბავი აღმოჩნდა სრულიად სამართლიანი და საფუძვლიანი, ამის გამო სიტყვა-სიტყვით მოგვყავს ეს ამოკითხული ამბავი: „ამ ორის წლის წინად დაბა ხონში დაარსა კერძო საქალო პროგიმნაზია ბახტაძის ასულმა ჩვენ ნამდვილ წყაროებიდან შევიტყეთ, რომ ეს პროგიმნაზია ჩინებულს ფეხზე დაუყენებია ახალგაზრდა მოღვაწე ქალსა და ნაყოფიც კეთილი გამოუღია უკვე ამ სასწავლებელს. ეს, სხვათა შორის, იქიდგან სჩანს, რომ ერთი ცხრა წლის ქალი ჯ—ისა, რომელიც ხსენებულს პროგიმნაზიაში თითქმის სრულიად უცოდინარი შესულა, წელიწად ნახევარს ისე კარგად მომზადებულა, რომ წარსულს სექტემბერში ერთს საქალო ტფილისის გიმნაზიაში პირველ მოწაფედ დაუჭერია ეგზამენი პირველს კლასში, რის გამოც წერილობითი მადლობა გაუგზავნიათ ხონში ქალბატონის ბახტაძისათვის როგორც მოსწავლე ქალსა, ისე იმის მშობლებსა". ჭეშმარიტად, სწორედ ღირსია სრული თანაგრძნობისა და ყოველგვარის შემწეობისა ეს პირველი საქალო პროგიმნაზია, დაარსებული ქართველის ქალისაგან.—

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შეატყობინა ბათუმის ქალაქის მოურავს, რომ საერო განათლების მინისტრმა, დაინახა რა საჭიროდ ბათუმში საქალებო გიმნაზიის დაარსება, მარიამის სასწავლებლის გარდა, სცნო, რომ ბათუმის ქალაქის მმართველობა დახმარებას მიიღებს სამინისტროსაგან ორის ათასის მანეთით წლიურად, თუ იკისრებს ქალაქის ფულიდგან ხარჯის გაღებას სამოსწავლო გარდასახადის მისამატებლადაო. ამასთან მზრუნველი დასძენს, რომ გიმნაზიის შესანახად საჭირო იქნება სულ მცირე—წელიწადში 13,300 მან. სადგომის დასაქირავებელ ხარჯის გარდა. სამოსწავლო გარდასახადი კი მზრუნველის გამოანგარიშებით უდრის წელიწადში სულ მცირე—12,000 მან. და, მაშასადამე, ქალაქმა ყოველ წლივ უნდა გაიღოს მხოლოდ 1,300 მან. და სადგომის ფული.

*** სამხედრო ბეგარის საგუბერნიო საკრებულომ უკანასკნელ სხდომაზედ განიხილა სხვა-და-სხვა კაცთა საჩივრები საქალაქო და სამაზრო საკრებულოთა უწესო მოქმედებაზედ.

*** თელავიდგან „კავკ."-ს აუწყებენ, რომ თელავის მაზრის თავადაზნაურთა არა ჩვეულებრივმა კრებამ ერთხმად მიიღო თელავისა და თიანეთის მაზრის უფროსის წინადადება სასოფლო სამკურნალოს და ვენახების საურთიერთო დაზღვევის შესახებ. ამასთან კრებამ დაადგინა სოფ. ენისელში მყოფ სამკურნალოს მოემატოს კიდევ სამი ახალი სამკურნალო სოფ. იყალთოსა, ვაჩნაძიანსა და ყვარელში. სამკურნალოს გასამართავად იყალთოში თავ. დ. ი. მაყაშვილს შეუწირავს ადგილი და 500 მან., სოფ. ვაჩნაძიანში თავ. ჯანდიერს შეუწირავს ადგილი, 300 მან. და შეშა გასათბობად, ვიდრე სამკურნალო იარსებებს, ასე რომ ამის შემდეგ მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზედ იქმნება 2 და მარცხენაზედ—2, სულ მთელ მაზრაში 4 სასოფლო სამკურნალო, ქ. თელავს გარდა.

*** „ახ. მ."-ს თელავიდგან ატყობინებენ, რომ წელს კახეთში მეაბრეშუმეობის გასულ წლებზედ უფრო თავგამოდებით მიჰყვეს ხელით. სულ სიღნაღისა და თელავის მაზრებში გაიყიდა 15 ფუთამდე აბრეშუმის თესლი მოსავლის მეხუთედ ნაწილში. თესლის სიმრავლის გამო მეაბრეშუმეთ გაცილებით მეტი ჭია გამოიყვანეს, ვიდრე გამოკვება შეეძლოთ, რის გამოც მათ ძალიან შემოაკლდათ თუთის ფოთოლი, რომელიც თითქმის ოქროს ფასად ისყიდებოდა. ფუთს ნედლ პარკს ჰყიდდენ 12—14 მან., სულ გაჰყიდეს 9,000 ფუთი. მეაბრეშუმეთ მიიღეს სულ 96,000 მან.

*** „ჩერნ. ვესტნ."-ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი: ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დირექტორმა ა. ს. მამონტოვმა 20 ოქტომბერს თვისის შვილებით გაისეირნა ოსეთის სამხედრო გზაზედ ორის ეტლით. უკან დაბრუნებისას სამეურნეო სკოლის მახლობლად პატარა რუზედ გაყვანილ ხიდთან ის ეტლი, რომელშიაც მკურნალი გერატი იჯდა, შეაჩერეს ვიღაც კაცებმა, რომელთაც ცხენებს აღვირში ხელი სტაცეს. დირექტორი, რომელიც მეორე ეტლში იყო, ჩამოხტა ეტლიდგან და წავიდა წინ იმის შესატყობად, რად შეგვაჩერესო; მას განუცხადეს, მთვრალი ხალხიაო. დირექტორმა წარმოსთქვა: რა სისულელეა, გაგვიშვით, გაბრუნდა თავისის ეტლისაკენ და ის იყო საფეხურზედ ფეხი შესდგა ეტლში ჩასაჯდომად, უცებ მას სწვდა ბოროტ-მოქმედი, მოუქნია ხანჯალი ზურგში ჩასაცემად, მაგრამ დირექტორმა აიცდინა ხანჯალი. ბოროტ მოქმედმა მეორედ მოუღერა ხანჯალი და ის იყო უნდა დაეკრა მსხვერპლისათვის, მაგრამ დირექტორის ქალმა ხანჯლის დანახვაზედ საშინელის ხმით დაიკივლა და დირექტორმა თვალის დახამხამებაზედ მიიხედა უკან კივილის მიზეზის შესატყობად. დაინახა თუ არა მოღერილი ხანჯალი დირექტორმა, მსწრაფლ ჯოხი აჰკრა და ხელახლავ აიცდინა; შემდეგ შეხტა ეტლში, რომელიც მეეტლემ სწრაფად გააქანა, და ამით თავი დააღწია ბოროტ-გამზრახველს, რომელმაც მესამეჯერაც სცადა მისთვის ხანჯლის დაკვრა, მაგრამ ვერ დასჭრა დირექტორი. ხანჯალი ისე ღონივრად არის დაკრული, რომ პალტო ღრმად გაიჭრა თურმე.

*** რედაქციამ მიიღო მე-X ნომერი საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა". შინაარსი ამ ნომრისა: 1, ფრინველები და თევზები—ლექსი შ. მღვიმელისა; 2, ყვინჩილას თავგადასავალი—თარგ. ან. წ—სა; 3, ზანგი და ყინული—თარგმ. ელ. წერეთლისა; 4. ობოლი ბარტყები—ლექსი კაკა-უშველასი; 5, ზებაიძე იმუშაოს—თარგმ. ა. წ.; 6, პასკალის ოჯახი; 7, ძმის მკვლელი—ლექ. დ. თომაშვილისა; 8, ზუ—თარგმანი; 9, სამშობლოსათვის თავდადებულნი—პელაგიაშვილისა; 10, საკვირველებანი ბუნებისა № 1 ჭიანჭველა—ლ. აღნიაშვილისა; 11, სამეცნიერო გასართობი—ზორასი; 12, მოუფიქრებელი მონადირე—იგავი ალ. მ.—შვილისა; 13, ამერიკელი ბავშვი ინდოის ზურო—თარგმ. ვ. ლორთქიფანიძისა; 14, ვისი ბრალია; 15, გასართობი—გ. ზოკერიასი; 16; წერილები: გამოცანა, ანდაზები, რებუსები და სხვა.

## ქუთაისში განზრახულ მეაბრეშუმეთა კრების შესახებ.

(ჩვენის ქვეყნის მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ)

(შემდეგი *)

წინა წერილში მკითხველს ვაუწყეთ, თუ რა კანონებია შემოღებული ოსმალეთში უვარგის თესლის გავრცელების საწინააღმდეგოდ. ბოლგარიაში აბრეშუმის თესლის დამზადება შეუძლიანთ მხოლოდ პასტერის საშუალებით და ისიც იმათ, ვისაც ეს საქმე ზედმიწევნით აქვთ შესწავლილი და მოწმობა აქვთ მთავრობის მიერ მიცემული; უცხოეთიდგან შემოტანა თესლისა შეიძლება

*) იხ. „ივერია" № 231.

---

ამავე გემზედ შემხვდა ბერძნის სახლობა, რომელსაც წამოეყვანა ბათომიდგან ერთი ათი წლის ქართველი ქალი გურიიდგან. ამ ქალისათვის ეთქვა ერთს ჩემს თანამოგზაურს სომეხს ჩემი ვინაობა, მაშინვე მოვიდა ჩემთან და მთხოვა ლოცვა-კურთხევა; მაშინ უკვე მივედით ოდესსის ნავთსადგურზედ და დროება არა მქონდა დაწვრილებით გამომეკითხა ამ ქალისათვის მისი ვინაობა, მხოლოდ ის-კი მითხრა, რომ იგი მიჰყავთ სტამბოლს. აღარ შემხვედრია სხვა გემზედ, როდესაც გავემგზავრენით ოდესსიდამ სტამბოლისაკენ.

ამავე გემზედ შემხვდა ახალგაზრდა სომეხი ერევნიდგან პ. ნიკ. აფ—ნი, იგი თავის ხარჯით მიემგზავრებოდა ვენას ბუნების მეტყველების მეცნიერების შესასწავლად. იგი მეორედ მიდიოდა ამ აზრით საზღვარ გარეთ. ოდესსიდამ იგი გაემგზავრა რკინის გზით. რამდენადაც პირველი შემთხვევა სამწუხაროა—მცირე წლოვანის ქალის უცხო ქვეყანაში და უცხო ტომის სახლობაში მსახურება, რადგანაც იგი ადვილად დაივიწყებს სამშობლო ენას უცხო ქვეყანაში და სრულიადაც გადაგვარდება, ეგოდენ მეორე ამბავი სომხის ახალგაზდის მისწრაფება მეცნიერების შესასწავლად, ვითარცა მწყურვალისა წყალზედ დასაწაფებლად, სანუგეშებელი და სასიხარულოა სამშობლოსათვის. იგი თავისუფლად ჰლაპარაკობს ფრანგულად და ესმის ინგლისურიც.

რიონის სადგურზედ შემხვდა ერთს ვაგონში ორი ფრანგი, რომელნიც მისდევდნენ ერთს გურულს მებატონეს მის მამულის სანახავად და შესასყიდად. ამ სახით საქართველოს მამულები გადადის სხვა ტომთა ხელში და ჩვენი ერი კი დარჩება შემდეგ ბოგანოდ. უკეთუ ჩვენმა ერმა დაიცვა თვისი არსებობა აქამდის, ეს სხვათა მიზეზთა შორის იმისათვის, რომ თავისს მამულზედ, მის წინაპართა სისხლით მორწყულზედ იყო იგი მტკიცედ დამკვიდრებული.

ქ. ოდესსაში მივედით 22-ს მაისს და ამავე რიცხვში საღამოს ხუთს საათზედ გავემგზავრენით კონსტანტინეპოლისაკენ „აზოვ"-ის ცეცხლის გემით. 23-ს მაისს, საღამოს 7 საათზედ, მივედით სტამბოლს. 24-ს მაისს მოვიარე სტამბოლი ანუ კონსტანტინეპოლი, მოვიხილე წმ. სოფიას ტაძარი, ოდესმე ფრიადი შვენება ქრისტიანობისა, და აწ მეჩეთად გარდაქცეული; ამავე დღეს მოვილოცე ბერძენთა ეკკლესიები: საპატრიარქო, ვლაქერნისა, წყარო ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა, და რამდენიმე სხვა.

ამ დღესვე შევედი რუსთა ათონის პანტელეიმონის მონასტრის მეტოქიაში (სადგურში), სადაც ვისადილე; აქედგან აცილებდნენ იერუსალიმით მობრუნებულთა მლოცავთა რუსთა ორასამდე კაცსა, და ახლად მიიღებდნენ ამავე მეტოქიაში და ორს სხვა რუსთა მონასტრების სადგურშიაც ოდესიდამ მოსულთა „აზოვ"-ის გემით სამასამდე სულს, რომელთა შორის ერთი ქართველი ერია. საქებელია რუსთა დაბალის ხალხის ასეთი სარწმუნოებრივი მისწრაფება წმ. ადგილების მოსალოცავად. ერი, ბერი, მღვდელი, ქალი და კაცი, მოხუცი და ჭაბუკი ერთნაირად მიესწრაფებიან სალოცავად იერუსალიმს, და იერუსალიმიდგან მობრუნებისა შემდეგ მამაკაცნი მიდიან წმ. ათონის მონასტრების მოსალოცავად, ხოლო დედანი ბრუნდებიან სამშობლოში. ქართველს ერს 16 და 17 საუკუნეშიაც ჰქონია ამ გვარი მსვლელობა იერუსალიმს მოსალოცავად. 16 საუკუნის დასასრულს ლეონ კახეთის მეფე გაემგზავრა იერუსალიმს მცირე მხედრობით ქრისტე მაცხოვრის ცხოველს მყოფელის საფლავის მოსალოცავად. გაემგზავრა იგი არა ზღვით, არამედ ხმელეთით, აზრუმ, ანტიოქია და დამასკოს ქალაქებზედ. დამასკოს არაბთა ხალიფმა შემოუთვალა: ვინა ხართ, რომ ესრეთ თავისუფლად მოგზაურობთ ჩემს სამეფოში? თუ მტერნი ხართ, მცირედნი ხართ, როგორ ჰბედავთ აქ მსვლელობას? თუ მლოცავნი ხართ, მრავალნი ხართ. ქართველთა უპასუხეს: როგორც გნებავდეს, ისრე მიგვიღეო; ქართველთა ამ გვარის რაინდულის პასუხისაგან შეშინებულმა ხალიფმა ბრძოლა ვერ გაუბედა და იმათ თავისუფლად მიმოვლეს იერუსალიმში. მეჩვიდმეტე საუკუნეშიაც ასეთის ღირსებითა და პატივის ცემით მიიღებდნენ ქართველთა, მლოცავთა იერუსალიმს მიმავალთა, შეიწყნარებდნენ მათ არა ქედმოდრეკილად მაჰმადიანთა წინაშე, არამედ პატივისცემით, ვითარცა ძლევა-მოსილსა ერსა. დროშა-გაშლილნი, სრულიად შეჭურვილნი, საომარის იარაღით მოსილნი თავიდგან ფეხამდის, ხარკ გარდაუხდელად შევიდოდნენ ქართველნი იერუსალიმს და ესრედ დიადი იყო სახელი ქართველთა ერისა! ამავე დროსა სხვათა ეროვნებათა ქრისტიანობის სარწმუნოებას აღმსრულებელნი ევროპიელნი, ანუ აზიელნი, საომარს იარაღს შემოიხსნიდნენ, დადებულს ხარკს გარდაიხდიდნენ ფულითა, და შემდეგ ეღირსებოდნენ იერუსალიმში შესვლას და ლოცვასა. ქართველს ერსა პალესტინაში ჰქონია ოდესმე 18 მონასტერი და აწ არცა ერთისა მქონებელია. „და იყვნენ უკანასკნელნი პირველი, ხოლო პირველნი იყვნენ უკანასკნელ" (ლუკ. 13, 30). ესრედ დამართვია ჩვენს ერსა, სარწმუნოებისათვის მრავალწამებულსა.

25 მაისს კვლავ დავათვალიერე სტამბოლის შესანიშნავი ადგილები. ამავე დღეს წავედით რკინის გზით ქ. სანსტეფანოს, სადაცა დაიწერა პირველი პირობა რუსთა და თურქთა შორის შერიგებისა 1878 წელსა. აქ ვნახე ახალი ეკკლესია, აღშენებულ რუსეთის მთავრობისაგან იმ ადგილზედ, სადაც არიან დაკრძალულ ძვალნი რუსეთის ძლევამოსილის მხედართა, სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოსათვის მოწყვეტილთა 1877—1878 წელს. ეკკლესია სიმაგრის მსგავსად არს აღშენებულ, გარს ქვითკირის გალავანი აქვს შემორტყმული, რომელშიაც დატანებულია სათოფეები მტერთა მოსაგერებლად.

ეს ეკკლესია აკურთხეს 6 დეკემბერსა 1898 წელსა, მაგრამ საკუთარი სამღვდელო დასი არა ჰყავს დანიშნულ და ირიცხება სამხედრო უწყებაში. მცველად ამ ეკკლესიისა იყო ერთი შავმთიელი ვაჟკაცი, ქართველი კი მე იქ არავინ შემხვედრია. ეკკლესია იგი დახატულია კედლებზედ, მხოლოდ არა ფერადის საღებავითო.

დეკანოზი პ. დ. კონჭოშვილი—ილწოველი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მიწად-მოქმედების სამინისტროს ნებადართვით და მისის მეთვალყურეობით. სასტიკად დაისჯება ის, ვინც უცხოეთიდგან შემოიტანს საბაზრო თესლს (უვარგისს) და ან ამ ნაირის თესლიდგან გამოიყვანს ჭიებს. თითოეულ კოლოფ თესლში, თუ პასტერის საშუალებით არ არის დამზადებული, ახდევინებენ თესლის პატრონს ჯარიმას ორიდგან ოთხ მანეთამდე და თესლსაც სწვავენ. თუ თესლი ჩუმად არის შემოტანილი უცხო ქვეყნიდგან, მაშინ თითოეულ კოლოფისთვის ახდევინებენ ჯარიმას ხუთ მანეთს. ხანდახან შეიძლება საბაზრო გრენიდგან მოასწრონ ჭიების გამოყვანა, მაშინ ჭიები გაისინჯება და თუ საბაზრო გრენიდგან აღმოჩნდა გამოყვანილი, მეაბრეშუმე დაისჯება თითო კოლოფისათვის 2—4 მანათამდე. დაისჯება იგი იმ შემთხვევაშიაც, თუ პასტერის საშვალებით დამზადებულ თესლიდგან გამოყვანილ ჭიებთან ერთად საბაზრო თესლიდგან გამოყვანილ ჭიებს აურევს. ის მეთესლეები, ვინც პებრინიან თესლს ჰყიდიან, ისჯებიან პირველად 300—1500 მ., მეორეთ 1500—3500 მ. შემდეგ მთლად ერთმევათ უფლება თესლის დამზადებისა. მეაბრეშუმეს, რომელსაც თესლის უვარგისობის გამო დაეღუპა პარკების მოსავალი, ნება აქვს სასამართლოს წესით მიიღოს მეთესლესაგან თავისი ზარალი. როცა მეაბრეშუმე შეატყობს, რომ ჭიები იხოცებაო, მაშინვე უნდა აცნობოს მთავრობას, რომ შემოწმებულ იქმნას, თუ რა სენით იხოცებიან ჭიები და თუ მეაბრეშუმე არ აასრულებს ამ კანონს, იმ შემთხვევაში თითონვე ისჯება პირველად 17 მანეთამდე, მეორედ 35 მ.

ასეთი კანონებია შემოღებული დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოში, სადაც-კი მეაბრეშუმეობა ჯეროვან ნიადაგზეა დამყარებული. რუსეთის სახელმწიფოში-კი მხოლოდ ამჟამად შეუდგნენ იმის გამორკვევას, რა საშუალებანი უნდა იქმნას შემოღებული უვარგისის თესლის გავრცელების წინააღმდეგ. კავკასიის საბრეშუმო სადგური 95 წლიდგან ამოწმებს როგორც უცხო ქვეყნიდგან შემოტანილს, ისე ადგილობრივ დამზადებულს თესლს, მაგრამ თესლის შემოწმება დამოკიდებულია მეთესლეთა სურვილისაგან. თუ ჰსურს, შეამოწმებინებს თვისის ფირმის თესლს, თუ არა და, ძალას არავინ დაატანს; როდესაც გაუჭირდება თესლის გაყიდვა, შეუმოწმებლად, მაშინ რამოდენსამე (ხშირად მხოლოდ ერთს) კოლოფს თესლს აარჩევს თითონ და წარუდგენს სადგურს *). სადგური შემოწმების შემდეგ აძლევს მოწმობას, რომ ამა და ამ ფირმის თესლიდგან გასინჯულ იქმნა ამდენი კოლოფი და პებრინით ავადმყოფი ამდენი აღმოჩნდაო. შემოწმებულ კოლოფებს სადგური უბრუნებს პატრონებს შემდეგის წარწერით: თესლი გამორკვეულია კავკასიის საბრეშუმო სადგურის მიერ, პებრინა (საშინელი სენია) არ აღმოჩნდა ან და პებრინიანია. პირველ შემთხვევაში (უპებრინო, საღს) კოლოფს წითელი ლაქის ბეჭედი ასვია, ხოლო მეორე შემთხვევაში-კი პებრიანიანს, უვარგისი თესლის კოლოფს, შავის ლაქის ბეჭედი. გარდა ამისა მოწმობაში გარკვევითაა ნაჩვენები, რომ მოწმობა შეეხება მხოლოდ იმ გასინჯულ კოლოფების თესლის თვისებას, ან ფირმის დანარჩენ გაუსინჯავ თესლის კოლოფებზედ ხსენებულს მოწმობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. ამასთანავე საბრეშუმო სადგური ყველა სოფლის მამასახლისებს, ბოქაულებსა და მაზრის უფროსებს აუწყებს, რომ ამა და ამ ფირმის თესლის რამდენიმე კოლოფი გასინჯული იქმნა და ამა და ამ თვისების აღმოჩნდა და სხვა-და-სხვა. ადგილობრივ გაზეთებშიაც-კი ცხადდება ყველა ზემოდ ნაჩვენები ცნობები, მაგრამ მეთესლეები და მათი აგენტები მაინც-კი ახერხებენ უვარგისის თესლის გასყიდვას, რადგანაც სადგურს ნება არა აქვს შემოწმების შემდეგ უვარგისის, პებრინიანის თესლის დაწვა. მეთესლეს უკანვე მიაქვს შემოწმებული პებრინიანიც და უპებრინო კოლოფებიც და იმისდა მიუხედავად, რომ ზედ შავი ლაქის ბეჭდები ასვია, ჰყიდის. ხშირად მინახავს, რომ მეთესლეს ბაზრობის დღეს (დ. ხონში, აბაშა-ლანჩხუთში) ბევრი მეაბრეშუმე ქალები ეხვეწებოდნენ, შავი ლაქიანი კოლოფი მომყიდეო. თურმე ნუ იტყვით, მეთესლეს დაერწმუნებინა ისინი, რომ მხოლოდ ის კოლოფებია კარგი, რომლებსაც შავი ლაქა აქვსო და გაცილებით მეტს ფასს ახდევინებდნენ, ვიდრე წითელ ლაქიან კოლოფში.

*) უმეტეს ნაწილად მეთესლეებს თითეული კოლოფი დანიშნული აქვთ და იციან რომელ კოლოფში რა თვისების თესლი უყრიათ.

იოსებ ქუთათელაძე

(შემდეგი იქნება)

—

**შეცდომის გასწორება.** წინანდელს ჩვენს წერილში, რომელიც „ივერიის“ მე-226 ნომერში იყო მოთავსებული, შეცდომით არის დაბეჭდილი: რა და რა ზომები უნდა ჰ ქ ო ნ დ ე ს შემოღებული... უნდა იყოს: რა და რა ზომები უნდა ი ქ მ ნ ე ს შემოღებული. ი. ქ.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ეს რამდენიმე დღე გადის, რაც ლედი-სმიტის შესახებ გარკვეული ამბავი არა მოდის რა, არც ოფიციალურად და არც კერძოდ. ხშირად ერთი ამბავი მეორეს ეწინააღმდეგება და ამიტომ ძნელია გაიგოს, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად გენერალი უაიტის ჯარი. ინგლისური გაზეთები იუწყებიან, მაგალითად, რომ უაიტს ორი თვის სამყოფი სამხედრო მასალა და სურსათი აქვსო, ხოლო ევროპის გაზეთები-კი იმას გაიძახიან, რომ დღეს თუ ხვალე ტყვია-წამალიც შემოაკლდება უაიტს და სურსათიცო. უაიტმა სთხოვა ჟუბერს, რომ ნება დაერთო—ავადმყოფები, დაჭრილები და საზოგადოდ ისეთი ხალხი, რომელიც ომში მონაწილეობას არ იღებს, ქალაქიდგან გაგვზავნოთო. ჟუბერმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა. ამ გარემოებას ბევრნი ასე ხსნიან: ლედი-სმიტში სურსათი ელევათ და უაიტს უნდოდა მეტი ხალხი მოეშორებინა თავიდგანო, მაგრამ ჟუბერი მიხვდა, როგორც იყო საქმე და გარდასწყვიტა, შიმშილის საშუალებით დაიმორჩილოს ლედი-სმიტიო. უთუოდ, ამავე აზრით დაუბრუნა ჟუბერმა უაიტს დაჭრილი ინგლისელები, რომელნიც ტყვედ წაიყვანეს ბურებმა,

— გაზ. „Daily Mail“-ის პარიჟელი კორესპონდენტის სიტყვით, ის ზარბაზნები, რომლებიც ბურებს ლედი-სმიტთან აქვსთ, კრეზოში (საფრანგეთში) ყოფილა გაკეთებული. ერთს დიდს ქარხანას კრეზოში ვერ მოუსწრვია ყველა შეკვეთილი ზარბაზნების გაკეთება, რადგან ომი ერთობ ჩქარა გამოცხადდა. საომარი მასალა იმდენი ჰქონიათ ბურებს, რომ ამ მხრით არავითარი შიში არ მოელით. ზარბაზნის ხმარებას ორ თვეში შეუსწავლიათ ბურებს კრეზის მექარხნეებისაგან, გაისგანაც ტრანსვაალის მთავრობამ შეიძინა ზარბაზნები. კიდევ ერთი თვე რომ დაზცლოდათ, —უთქვამს ერთის ქარხნის მოხელეს ხსენებულ კორესპონდენტისათვის,— ბურები საუკეთესო არტილერისტები იქნებოდნენ მთელს დედა-მიწაზედ, რადგან იმათ ბუნებითი ნიჭი აქვსთ კარგად სროლისა.

— ინგლისელებს ძლიერ აფიქრებს კაპის ახალშენში მცხოვრებ ჰოლანდიელების საქციელი. ეს უკანასკნელები სრულებითაც არ ჰფარავენ თავისთ სიხარულს ბურების გამარჯვების გამო. ლედი-სმიტთან ინგლისის ჯარის დამარცხების ამბავი რომ გაიგეს, გაზეთების დამტარებელი ბიჭები გაიძახოდნენ თურმე: „სასიხარულო ამბავიო“, ხოლო მოზრდილი ჰოლანდიელები ამბობდნენ—„ჩვენ ვაჩვენებთ ინგლისელებს, როგორც უნდა ბრძოლაო!“ მრავალ ინგლისურ გაზეთში კაპის ახალშენიდგან მოსული ცნობებია დაბეჭდილი, რომელიც თვალსაჩინოდ ჰხდის ყველასათვის, რომ ეროვნული მძლავრება მოსდევს კაპის მარტო ჩრდილოეთ მხარეს-კი არა, არამედ შუაგულ ოლქებსაც. ეჭვი არ არის, ანგლისელებს ეშინიათ ამბოხება არ მოახდინონ ორანჟის საზღვრებს მახლობლად კაპის ახალშენელმა ჰოლანდიელებმა, რასაც, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ ამ ადგილას სამხედრო დროის წესრიგი იქმნა შემოღებული. კოლესბერგი, რომელიც, როგორც ამას წინად ამბავი მოვიდა, ბურებმა აიღეს, თითქმის სულ ჰოლანდიელებით არის დასახლებული და იმათ დიდი გავლენა აქვთ მახლობელს ადგილებზედ, როგორაც არის: დორდრეხტი, ბურგერზდორპი, ვილკალნორტი და სხ. აქ ყველგან არსებობს მსროლელთა მრავალი კავშირი, რომელთაგან ბურებს ადვილად შეუძლიანთ მთელი ჯარის შედგენა. ნატალელი ბურების ყოფა-ქცევაც ძალიან აფიქრებს ინგლისელებს. დურბანში მივიდა ერთი დაჭრილი ზღვაოსანი აფიცერი—ვილსონი, რომელმაც ილაპარაკა, რომ ბურები მტრულის თვალით უცქერიან ინგლისელებსო. მისის სიტყვით, ნაპოლის (ნატალში) ჰოლანდიელი ფერმერები იარაღით ხელში თუ არ შეებიან ბურებს, სხვა გვარ დახმარებას არ აკლებენ.

## დავით ბაქრაძე ბ-ნ სილოვანებს

—

წრეულს, მკათათვის 20 ს, „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი ფელეტონი, ხელმოწერილი „სილოვანისაგან“, რომელშიაც, სხვათა შორის, მეც ცუდად ვარ მოხსენებული.

პასუხის გაცემა არ მინდოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს გამოჩნდა, რომ ზოგიერთი სხვაც შეუდგა ეჭვში ჩემს მოქმედებაზედ და, რადგან ამ სხვების პატივისცემა მაქვს და ვაფასებ მათს აზრსა და გრძნობას, ამიტომ სურვილი საეროდ გამოვაცხადო, რომ ცილის წამება არის ვითომც ვისთვისმე მიმეცეს სიტყვა ერთნაირ მოქმედებისა და არ ამესრულებინოს.

დავბერდი კაცი, იმერეთში არა ვარ ჯერ კიდევ ისე მაიწყებული და დღემდის არავის შემოუწამებია ჩემთვის სიცრუე და ღალატი. ჩემს სიცოცხლეში ბევრჯელ შემხვედრია იმისთანა საქმე, რომელსაც ჩემს ბედსა და მყუდრო ცხოვრებაზედ დიდი და უაზღვრო გავლენა უნდა ჰქონოდეს და ზოგჯერ ჰქონდა კიდეც, მაგრამ ჩემი ენა და ჩემი სინდისი არ გამრუდებულა, და ახლა რა მოხდა მისთანა, რომ ერთი ვთქვა და, ღმერთო კი მომკალი, სილოვანების შიშით და კრძალვით ათახთახებულმა სხვა ჩავიდინე! ეს ცილის წამება ჩემდა დიდ შეურაცხებად და დამცირებად მიმაჩნია და ბ-ნ სილოვანების მხრივ-კი დიდ თავხედობად და ამაოთავმოწონებად. ან ვინ არის ეს „სილოვანი“ ვიცოდე მაინცა. ნამდვილი სახელი არის კაცისა, თუ ფსევდონიმი! თუ ნამდვილია, ეს უნდა იყოს ქუთათური პოეტი სილოვან ხუ—აძე. ახლა ზოგიერთი მგონია, თუ ორის ღერის ლექსის ერთმანეთზედ გადაბმა მოახერხა, კი აღარ კადრულობს პსევდონიმობას ან გვარის მოწერას, მარტო თავის სახელით გამოდის... „ისეც ყველასაგან ცნობილი“...

ეს დაიწყო თხვდაპირველ ნამდვილმა და ღირსად პატივცემულმა პოეტმა, და ისეც, რასაკვირველია, მეტიჩარობით კი არ უქნია, და მის ფეხის ხმას აჰყვა ყველა ევტიხი ღვდელ-მონაზონის მოძმე და უღლის გამწევი. ეტყობა ამათ არ გაუგონიათ ლათინური ანდაზა: „რაცა ჰშვენის იუპიტერს, არ შეშვენის საუღლე ხარსაო“ *).

ჰო ბატონო, როგორ იყო საქმე: სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, რომლის დასახელება აქ საჭირო არ არის, მე არ მინდოდა წრეულს ბანკის არჩევანებში გარევა, მარა ამიტყდა ყოველი კაცი, დიდი და პატარა, მტერი და მოყვარე. მაშინ საჯაროდ და „ყველას მოურიდებლად“ გამოვაცხადე, რომ რადგან ასე არის, შეიძლება ჩემი კენჭი ორივე კანდიდატს შავად მოხვდეს-თქო. რასაკვირველია, არც ეს იმათ და ერთს დღეს ჩემთან შემობრძანდა ოცამდე ჩემზე ძლიერ პატივცემული კაცი, ყოველის მაზრიდგან ორ-ორ-სამ-სამი, და მთხოვეს, როგორც მოგეხსენებათ, ჩვეულებისამებრ, სხვის მაგიერადაც და თავის თავადაც, რომ მეცა იმათთვის პატივი და არ მოვშორებოდი. თხვდაპირველად დიდი უარი მოვახსენე-უე, მაგრამ ბოლოს დროს ვეღარ გავისტუმრე ისინი გულდაწყვეტილი და აღვუთქვი მათთან ყოფნა.

ჩემი სიტყვა რომ ავასრულე, ამას ყოველი კაცი მიხვდებოდა, საჯავახელ დონკიხოტებს გარდა, ჩემის ყოფაქცევიდგან და ჩემგან სამჯერ-ოთხჯერ, სხვა და-სხვა საგანზე კრებაში წარმოთქმულ სიტყვებიდგან. *) მაგრამ სილოვან ბატონიშვილებს, ახალ ქვეყნის მოთავეებს, რომლებიც წრეულს სადღაცაიდგან ამოძვრენ, როგორც ნაწვიმარზე ჭია-ღუანი, სულ სხვაზე მოსდით გული: იმათ მიბრძანეს მე და სხვასაც უბრძანეს, რომ ყუთი გამოგვეწია და ისე ცხადად ჩაგვეგდო კენჭი. მგონია, ქვეყნის მოთავე კაცმა უნდა იცოდეს, რომ კენჭის ყრა, კანონით, იდუმალი უნდა იყოს, მაგრამ ამას დაერთო კიდევ სხვა გარემოებაც... სილოვან ბატონიშვილების უზომო ქადილსა და ტრაბახს მოჰყვეს ყური მოწინააღმდეგეებმა და მიჰმართეს გუბერნატორს, რომ თუ ასე იქნა, დიდი სკანდალი და შეიძლება სისხლის ღვრაც მოხდესო... გუბერნატორმა აცნობა ეს კრების თავმჯდომარეს და ამან გამოაცხადა, რომ კენჭის-ყრა უსათუოდ დაფარული უნდა იყოსო.

მე მოვახსენე მოწიწებით ბატონიშვილებს, რომ, როგორც ძველს მსაჯულს, არ შემშვენის კანონისა და საზოგადო წესის დარღვევა თქო, მარა ვინ გაგიგონა. როგორც მოგეხსენებათ, ახლად გაბატონებული უმაწვილი ყველა თავის საყმოს ეჭვიანის თვალით უყურებს: ვაი თუ ბატონად და კაცად არ მაგდებენ და ყოველი მათი ურჩობა,—რას ვამბობ ამასა, ურჩობა კი არა,—შეუძლებლობაც „ბუნტად“ მიაჩნიათ. როდესაც კენჭის ჩასაგდებლად გამიწოდეს და წავედი, მაინც უზრდელად მომაყვირეს, რომ ყუთი გამოსწიეო. ამნაირი ქცევა იმათ ქვეყნის დიდი სამსახური ჰგონიათ. მე-კი „სკანდალად“ მიმაჩნია. ეგებ სხვა უფრო დიდი რამე მოსაზრებაც ჰქონდეთ მათ, მაგრამ მე იმაზედ დაბეჯითებით ვერას ვიტყვი.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც უნდა მოვიხსენიო: ყველამ იცის, რომ დიდი დასი იყო, რომელსაც ორივე კანდიდატების გაშავება უნდოდა, თუ კი სხვა ვინმე გამოვიდოდა. მათ რიცხვში ბევრი იმ პატივცემულთაგანიც იყო, რომელნიც ჩემთან ბრძანდებოდნენ. მე მითხრეს, რომ დღე-დღეობით ორივეს თითქმის ერთნაირი ძალა აქვსო და თუ ოც ოცი ან ათ-ათი კაცი გამოაკლდით ორივეს, ესეც საკმაო იქნებაო, მარა ჩვენ ვერ ვენდობით ერთმანეთს; შენ მოგიტანთ ყველა ცნობას და იმედი გვაქვს, კარგად ასწონით და არც არავის მოატყუებო! ჯერ დიდი უარი ვთქვი და მერე-კი დავთანხმდი, მართალია, მაგრამ ვერც იმათ მომიტანეს ბეჯითი ცნობა, რადგან მეკენჭეები, ჩვეულებისამებრ, ხშირად გადადიოდნენ ერთისაგან მეორესთან, და არც ის ორი კაცი დასთანხმდა კანდიდატობას, ვინც მე მსურდა. ამნაირად საქმე გადაფუჩდა. ესეც ყველამ იცის, რომ ჩემი კანდიდატები იყვნენ დ. ხვ—ლი და თ. ა. ერ—ვი.

ახლა გადავალ ბატონის სილოვანის

*) ერთი ქალი უქმობდა თავისის ანგელოზის დღესა. ქალი იყო ახალგაზდა, ლამაზი და კარგის ოჯახის შვილიცა, ამიტომ ბევრი მოტრფიალე ჰყავდა; მათ რიცხვში პოეტებიც ერივნენ. როცა ამ პოეტებმა ჩაუწერეს იმ ქალს ალბომში, ვისაც რა ღმერთმა აგონა, ნეტარ-ხსენებულ ღვდელ-მონაზონს ევტიხისაც აეშალა საღერღელი, რომ თავისი მაღალი გრძნობა და პოეტური ნიჭი გამოეჩინა. მოსთხოვა ქალს ალბომი და ჩანუსხა შიგ თავისის მცირე რუსეთის ენით, საკვირველი და დაუვიწყარი ლექსი:

Тече, тече нашъ Днѣпръ тихiй.
Сiе писавъ Iеромонахъ Евтихiй.

*) ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რომ შევასწორო „ივერიაში“ და სხვაგანაც დაბეჭდილი კორესპონდენცია ერთს ჩემგან შეტანილ პროექტის შესახებ. მე მოვითხოვე, რომ ზედამხედველ კომიტეტს მიეცეს უფლება, დროებით, პირველ საზოგადო კრებამდე, გადააყენოს თანამდებობიდგან თითოეული წევრი გამგეობისა, რომელიც ცხადად არღვევს ხოლმე კანონს, გაჯიუტებით არ ასრულებს საზოგადო კრების განაჩენს და მითი შემოაქვს ბანკში უწესოება და აყენებს მას ზარალს. კორესპონდენციაში-კი იყო ნათქვამი, რომ ვითომ მე მეთხოვოს იმისი გადაყენება, ვინც ზედამხედველის კომიტეტის გარდაწყვეტილებას არ ასრულებს. ჩემს სიტყვებს, საჯაროდ წარმოთქმულთაც, ხშირად მოსდით ხოლმე ამნაირი ბედი, მაგრამ რა გაეწყობა!

ქირდვასა და დაცინვაზედ, ვითომც მე ყოველ არჩევანების დროს სადარდელი მეშლებოდეს და ვინც არ დამასახელებს კანდიდატად, მტრად და მოსისხრად ვუხდებოდე. ქვეყნის მოთავემ და მზრუნველმა მარტო ის-კი არ უნდა იცოდეს, რაც იმის ცხვირის წინ ხდება ხოლმე, და ისეც თავისებურად, ანუ, უგატრავად-კი ნუ დავრჩები ამ თქმისათვის, უთავბოლოდ; პატარა წარსულ დროსაც უნდა გადაავლოს ხოლმე თვალი; მაგრამ სილოვანების ფიქრით, მათებურ კაცებს, როგორც ცეზარებსა და ნაპოლეონებს, ძველი ისტორია რად უნდათ: ისინი თითონ ჰქმნიან ისტორიას.

როდესაც საჭიროდ ვრაცხდი, ესე იგი როდესაც მეგონა, რომ საზოგადოებამ არ იცის, თორემ ცუდს არას ჩაიდენს-თქო, მე სილოვანებისთვის არ მითხოვია ჩემი კანდიდატად დასახელება და არც გაშავებას ვერიდებოდი ხოლმე. ყველა გაზეთში იყო დაბეჭდილი 1881 წელს ჩემგან ნათქვამი სიტყვები ბანკის საზოგადო კრებაზედ, რომ „მე გულით არც წინად მინდოდა ხოლმე, არც ახლა მინდა ჩემი არჩევა გამგეობის თავმჯდომარედ; ამიტომ მე ხელს ავიღებ ბანკის ყრაზე, თუ მეორე კანდიდატიც ინებებს ამას. ის არ დასთანხმდა ამას და მერე ვთქვი: ვიცი დღესაც გავშავდებით, მაგრამ მაინც საჭიროდ ვრაცხ გავიყაროთ ბანკი მეც და ჩემთან ერთად სამს ჩემს თანამოაზრე კაცსაც“ და მართლაც ასე მოხდა.

მე ვიყავი ხოლმე ჩემდა სამწუხაროდ და, როგორც დღესა ვხედავ, საუბედუროდაც ბესარიონ და ნიკოლოზ დოლობერიძეების წინააღმდეგი. მათ ორივეს დიდს პატივსა ვსცემდი და მეორე მიყვარდა და მიყვარს კიდეც, მაგრამ, თვით საქმის შესახებ და არა მათზედ პირადად, სხვა აზრი და სხვა წადილი მქონდა და ამან გამოიწვია ჩვენ შორის პრინციპიალური უთანხმოება.

ამ ნიკოლოზ დოლობერიძემ 1884 წელს თითონ მოისურვა ბანკის მიტოვება და, გასინჯეთ მისი ღირსება, ეგეც თავზედ მეტი ჰქონდა ჩემთან მოცქულობა, თავადის ერისთვის გიორგის ძის სიდამონ-ერისთვის პირით, რომელთანაც მე ვიდექი, რომ მიმეღო მისი ადგილი. ყოველს შემწეობას მპირდებოდა, და ძალაც დიდი ჰქონდა, მაგრამ, სხვა-და-სხვა გარემოების გამო, ვერ დავეთანხმე და გამოვიდნენ სხვები.

ნიკოლოზ დოლობერიძე და თ. გ. სიდამონ-ერისთავი, ღვთის მადლით, ორივე ცოცხლები არიან და კარგად ცნობილნი ყველასაგან. ეს ამბავი ქუთაისში მრავალმა იცის.

წრეულსაც, ივნისში, როდესაც ბანკის ყრაზე მიდგა საქმე, თუმცა და იმ დღეს კი აღარ მომხდარა, გამიხმო კანცელარია ნიკვაძემ და მითხრა, რომ, რადგან ჯინსა და პირადობაზედ მიჰყავთ საქმე, ბანკს ვიყრი სხვასთან, ვინც უნდა იქნეს, ერთი თეთრიც რომ არ მომივიდეს, მაგრამ თუ შენ ისურვებ, ამდენის უსიამოვნების და განხეთქილების მოსასპობლად ჩვენს საზოგადოებაში, შევწირავ მსხვერპლსა და დავითმობ ადგილსო; მარა მე უარი ვუთხარი. იქ იყვნენ იმ დროს ლუარსაბ თ. ლოლუა, ივანე პ. ჯაიანი და ერთი კიდეც ჩვენებურად ჩაცმული ყმაწვილი კაცი, რომელიც აღარ მახსოვს. ლაპარაკი მოხდა თოთხის მეორე კუთხუში, მაგრამ იმათაც მგონია უნდა გაგვგონოთ ეს.

ამ ამბავმა სხვა-და-სხვა ლაპარაკი გამოიწვია ქუთაისს. ზოგი ამბობდა, რომ ეს გ. ჩიკვაიძის პოლიტიკა და ფსიხოლოგიის ცოდნა იყოო. მაგრამ მე თითონ ვუთხარი იმას, რომ იმულებული ვარ მავი ბანკში უნდა ჩავიგდო-მეთქი. აქ რაღა დარჩა დიპლომატიას და ფსიხოლოგიას?!.

ამითი ვათავებ ჩემს პასუხს სილოვანებთან და დამიძნია მკვლებურად:

ღმერთმა თავსლაფი დაასხას მოღალატესაც და ცილის მწამებელსაც.

ღ. ბაქრაძე

---

## დამავიწყდა

ადამიანის უბედურებანი ლეღავაცის დაბადებისათანავე იწყება.

მილტონი

* * *

სწორი სწორსა ჰგოცებსდა უმცროსი უფროსს ვერ გამბორებს.

ქსენოფონტე

* * *

ქვეყანა მარილის ქვად გარდაიქმნებოდა, ქალთა ცრუ ცრემლებს რომ სიმლაშე ჰქონოდა.

ბ. დ—შვილი

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკელები უმაღლეს სასწავლებლების სასარგებლოდ აუარებელ ფულსა სწირავენ. ამა წლის პირველ ცხრა თვის განმავლობაში, მაგალითად, ამერიკელებს შეუწირავთ უმაღლესს სასწავლებლებისთვის 28,720,617 დოლლარი ანუ ჩვენებურად $57^1/_2$ მილიონ მანეთამდე. ყველაზედ მეტი—30 მილიონი მანეთი,—შეუწირავს კალიფორნიის უნივერსიტეტისათვის ვინმე ლელენდ სტანფორდს. ჰორვარდის უნივერსიტეტმა მიიღო სულ $3^1/_2$ მილიონი მანეთი, ხოლო ბოსტონის ქალთა უმაღლესმა სასწავლებელმა—4 მილიონი მანეთი.

* * *

ამას წინად გერმანიის ერთ ქალაქში მოსულა ახალგაზრდა ინგლისელი ადგილობრივის ქარხნების დასათვალიერებლად. ინგლისელს ფული შემოჰკლებია და განუზრახავს შინ დეპეშის გაგზავნა, მაგრამ, საუბედუროდ, გერმანული სრულებით არა სცოდნია და ფოსტა ვერ უპოვნია. ვერც ინგლისურის მცოდნე კაცს შეჰხვედრია, რომლისთვისაც ეკითხნა, სად არის ფოსტაო. ბოლოს, ბევრის ხეტიალის შემდეგ, ქუჩაში განცხადება დაუნახავს. ჰგონებია ფოსტა არისო, შესულა შიგ და დეპეშა გადაუცია. თურმე ნუ იტყვით, ფოსტა კი არა, ეს განცხადება ერთის რედაქციის კანტორისა ყოფილა. ინგლისური არც ამ კანტორაში სცოდნიათ; ინგლისელის მიერ მიტანილი დეპეშა უბრალო განცხადება ჰგონებიათ და გაზეთის უკანასკნელ გვერდზედ დაუბეჭდიათ. ინგლისელი დღესაც ელის თურმე თავისს დეპეშის პასუხს.

* * *

კარგა ხანია ამბობდნენ, რომ ზარბაზნის და თოფის სროლის ხმა დიდად ვნებს ყურის ორგანოებსაო. სამხედრო ექიმებს არა ერთხელ შეუმჩნევიათ, რომ არტილერიაში მოსამსახურე ჯარის-კაცებს ხშირად სმენაც კი ეკარგებოდათ ხოლმე. ამას წინად გერმანიაში პროფესორი მიულერი ამ სენის დაწვრილებით გამოკვლევას შესდგომია. მიულერს გაუსინჯავს ერთის საარტილერიო ბრიგადის ჯარის კაცნი და აღმოუჩენია, რომ ამ ჯარის კაცთაგან მხოლოდ მესამედსა ჰქონია მთელი და უვნებელი ყურის ორგანოები.

* * *

არქეოლოგნი ამ ჟამად ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ამერიკაში ნაპოვნ მუმიების შესახებ. დღემდის ეგონათ, რომ მუმიები მარტო ეგვიპტეშია, მაგრამ ეხლა ამერიკაშიაც აღმოჩნდა; როგორც ამბობენ, ეს მუმიები უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე ეგვიპტისა. მუმიები უპოვნიათ კალიფორნიაში ერთ გამოქვაბულში. ეს გამოქვაბული დიდი და უზარ-მაზარი რამ ყოფილა. გამოქვაბულის ერთ კუნჭულში დაუნახავთ ქვებით დაფარული კარები. როდესაც ეს კარები გაუღიათ, არქეოლოგნი მეორე დიდ და შესანიშნავ გამოქვაბულში შესულან, უნახავთ მრავალი ძველი ნივთი და აგრეთვე რამდენიმე მუმია. მეცნიერების ყურადღება მიუქცევია ამ მუმიების სიდიდეს. ერთი მათგანი საჟენი და 4 ვერშოკი ყოფილა. როგორც ამბობენ, ეს მუმიები უძველეს დროის ხალხისაა, რომელიც კარგა ხანია ამომწყდარა, აგებულებითაც განირჩევა თურმე ეს მუმიები აწინდელის კაცისაგან. ფეხებსა და ხელებზედ ამ მუმიებს, მაგალითად, ერთის ზომისა და ერთის სიგძის თითები ჰქონიათ. მუმიები ამ ჟამად კალიფორნიის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ნოემბერი

**პრეტორია.** ლედისმიტიდგან იუწყებიან, რომ 9 ნოემბერს გათენებისას ასტყდა ზარბაზნების სროლა. ბურთა რამდენიმე რაზმი 1500 იარდის მანძილზედ მიუახლოვდა ბრიტანიის ციხე-სიმაგრეებს, მაშინ ზარბაზნების სროლა შესწყდა და თოფების სროლა ასტყდა. მეფეკინგთან და კიმბერლეისთან მშვიდობიანობაა.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“. ადმირალი კურჟოლი დეპეშით იუწყება კვან ჩეუ ვანიდგან, რომ ორი აფიცერი მონესიდგან უჯარისკაცებოდ მეორე ნაპირზედ გადავიდნენ, სადაც ჩინელების მიერ მოკლულ იქმნენო. კურჟოლს უბრძანებია შეიპყრან ხაინანის პრეფექტი. საფრანგეთის ელჩს ებრძანა მოსთხოვოს ძუნგ-ლი-იამენს დამნაშავეთა დასჯა.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდგან, რომ ის ხმები, ვითომ რუსეთსა და იაპონიას შორის დამოკიდებულება გამწვავდა, სიმართლეს მოკლებულიაო.

4 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებითურთ და დიდნი მთავარნი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და მიხეილ ნიკოლოზის ძე სკვერნევიციდგან ცარსკოე სელოში მობრძანდნენ.

**ამსტერდამი.** კ პელლის, ახლოს მატარებელს უბედურება დაემართა შეჯახების გამო. მოკლულია 5 კაცი, დაჭრილია 29, მათ შორის 15 სასიკვდილოდ.

**ტული.** 22 ოქტომბერი. ბურების ბანაკში არა ჩვეულებრივი მოძრაობაა. მოახლოვებული მტერმა შუადღისას ბანაკს ყუმბარების სროლა დაუწყო. ბურებს 400-მდე კაცი ჰყავთ. მეორე რაზმს ინგლისელების ას ბურები შემოერტყნენ გარს, მაგრამ გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ ტუელიშივე დაბრუნდნენ. 1 აფიცერი და 5 ჯარის-კაცი აკლიათ.

**ლისაბონი.** მკვნალი პუტანა გარდაიცვალა შავის ქარისაგან.

**მადრიდი.** ბარსელონიდგან იუწყებიან, რომ საქმეთა ვითარება დიდად გამწვავდა, მკვიდრი გარდასახადს აღარ იძლევიან და ამით უნდათ მთავრობა ძირს დასცენ.

**კიევი.** ტაინი სოვეტნიკმა ტერეშჩენკომ ქალაქს მოურავს გაუგზავნა 150.000 მან. საქალაქო პირველ დაწყებით სასწავლებლისა და სამედაგოგიო მუზეის დასაარსებლად.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვსწირავ ქ-ნს ელისაბედ ბესარიონ ხელთუფლიშვილის ასულს, რომელმაც ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიის გალავნის შესაკეთებლად გადმოგვცა სხვა-და სხვა კაცთაგან მის მიერ შეგროვილი ფული სამოცი მანეთი, და იმ პატივცემულ კაცთ, რომელთაც ეს ფულები შემოსწირეს ამ ეკკლესიას. სია შემომწირველთა:

ნინო ივანეს ასული კემულარიასამ, ივლიანე გრიგოლის ძე ანჯაფარიძემ ივანე ზურაბის ძე გველესიანმა, დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძემ, დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილმა ხუთ-ხუთი მანეთი; თეოდოსია ფირანის ასულმა ხელთუფლიშვილისამ, მიხეილ მოსეს ძე მღვდლისშვილმა სამ-სამი მანეთი; კალისტრატე ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძემ, დავით ექვთიმეს ძე ლორთქიფანიძემ ორ-ორი მანეთი; ანნა სიმონის ასულმა პეტრიაშვილისამ, მარიამ პეტრეს ასულმა წულუკიძემ, ბარბარე ბარისის ასულმა მეძმარიაშვილმა, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვმა, თ. ნესტორ ერისთავმა, ივანე პეტრეს ძე ჯაიანმა, ბესარიონ ვასილის ძე ლოსაბერიძემ, ილია ლუკას ძე ბახტაძემ, ანტონ სტეფანეს ძე მეფისოვმა, დიდიმ ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძემ, ნესტორ გუკუშვილმა, გრიგოლ ოცხელმა, გრიგოლ მეგრელიშვილმა, ბესარიონ გრიგოლის ძე გაბუნიამ, ბეჟან ალექსანდრეს ძე ასათიანმა, ანტონ გრიგოლის ძე აბულედიანმა, ივლიანე ჯანელიძემ, გრიგოლ ბეშკენაძემ, ივანე ბიხეილის ძე შნეიდერმა, თ. ივანე ხიდირბეგიშვილმა თითო მანეთი; უცნობი პირისაგან 1 მ. 20 კ; ივანე იოსების ძე ყაუქჩიოვმა, ივანე ქაიხოსროს ძე დავიდოვმა, ელიზბარ ზვიადაძემ, იაგორ კემულარიამ ძმით, ირაკლი ბახტაძემ, ზაქარია ოლნეზოვმა, სიმონ კანდელაკმა—ათ-ათი შაური და პეპა გრიგოლ ასათიანის ასულმა ექვსი შაური.

აგრეთვე უგულითადესს მადლობას ვწირავთ: 1, მარიამ გრიგოლის ასულს დუღაძისას, რომელმაც გადმოგვცა მის მიერ შეგროვილი სხვა-და-სხვა კ.ცთაგან 5 მ. და 65 კ.; 2. ივლიტა ქაიხოსროს ასულს ლორთქიფანიძისას, რომელმაც გადმოგვცა მის მიერ შეგროვილი 6 მ. 80 კ.; 3, ალექსანდრა სიმონ ქავთარაძის ასულს, რომელმაც გადმოგვცა 2 მ. 10 კ.; 4, დავით ბეკოს ძე ტორაძეს, რომელმაც გადმოგვცა 4 მ. 90 კ.; 5, ევსევ სოფრომის ძე გვანცალაძეს, რომელმაც შემოსწირა 2 მ.; 6, სოლომონ ლევანის ძეს ხახუეიშვილს, რომელმაც გადმოგვცა 3 მ. 40 კ.; 7, ბ. გრიგოლ თომასძე ლორთქიფანიძეს, რომელმაც გადმოგვცა მის მიერ შეგროვილი სხვა-და-სხვა კაცთაგან შვიდი მანეთი და 3 კაპეიკი.

ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდ. ნესტორ ყუბანეიშვილი

---


# განცხადებანი

სომხეთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში 17 ნოემბერს 1899 წ. მოხდება

## საჯარო ვაჭრობა

(ხელმეორე ვაჭრობის მოუხდენლად) სემინარიის კუთვნილ სოღანლუღის ბაღის იჯარით გასაცემად. პირობების გაცნობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2საათამდე.

ამა 1899 წლის 24 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, **სომხეთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში, მოხდება საჯარო ვაჭრობა** ოთხის წლის ვადით, 1900 წლის პირველ იანვრიდგან დაწყობილი, იჯარით გასაცემად ამ სემინარიის კუთვნილის სატრაქტირო შენობისა, რომელიც ქ. ტფილისის მე 8 ნაწილში, რიყეზედ იმყოფება. ეხლა საიჯარო ფასს სემინარია იღებს 905 მანეთს წელიწადში. პირობების ნახვა მსურველს სემინარიის სამზრუნველოს კანცელარიაში შეუძლიან ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10 დგან 2 საათამდე. (2—175—1)

ამა 1899 წლის 24 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, **სომხეთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის საბჭოში მოხდება საჯარო ვაჭრობა** ოთხის წლის ვადით, 1900 წლის 1 იანვრიდგან დაწყობილი, იჯარით გასაცემად ამ სემინარიის კუთვნილის შენობისა, რომელიც იმყოფება იარმუკაში, ტფილისის მე III ნაწილში. იძლევა იჯარით ქვემო სართული, სადაც მოთავსებულია 36 დუქანი თავისს სარდაფებით. დღეს საიჯარო ფასს ეს სახლი წელიწადში 9000 მანეთს იძლევა. პირობების შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დგან 2 საათამდე. (2—175—1).

### აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და **სოფ. კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—5.—38) ნ. წერეთელი

**სოფიო მაკოზის ასული შინდაგორიძე შვილითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის შვილისას

## იაკობ ზურაბის ძის შინდაგორიძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ შაბათს, 6 გიორგობისთვეს, ოქრომჭედლების ქუჩაზედ (სომხეთა ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი, № 9), საიდგანაც მიცვალებულის გვამს დილის 10 საათზედ ანჩისხატის ტაძარში გაასვენებენ. (1—174—1)